

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სოციალურად მოწყვლადი  
უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მხარდაჭერის  
მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა

Mechanisms of support for socially vulnerable students of higher and vocational education programs  
and availability of tuition fees

„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო  
სასწავლებელი ანრის რექტორი

დადგენილება:

2020 წლის 18 აგვისტოს შპს ბუსსს ანრის რექტორის  
ბრძანება N97

რ.დიასამიძე  
18.08.2020 წ.

**მუხლი 1. აქტუალობა**

სოციალურად მოწყვლად პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. განათლების სფეროში მოქმედი ყველა საერთაშორისო დოკუმენტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმნიშვნელოვანეს ფუნქციად სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდგომში სასწავლებელი) ამოცანაა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სტუდენტებს სწავლის სათანადო პირობების შექმნაში, რისთვისაც შეიქმნა წინამდებარე წესი.

**მუხლი 2. მიზანი**


წესის მიზანია, მხარი დაუჭიროს საზღვაო სასწავლებლის სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს და ხელი შეუწყოს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდაში ამ წესითა და პირობებით.

**მუხლი 3. ამოცანები**

წესის ამოცანაა დადგენილი წესით სტუდენტთა განცხადებების განხილვის შედეგად, სწავლის საფასურის შეღავათების უფლების მქონე სტუდენტთა კონტიგენტის დადგენა, შეღავათების კატეგორიების განსაზღვრა.

**მუხლი 4. წესის ღონისძიებები**

1. წესის განხორციელების მიზნით მოქმედებს რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც შედგება ადმინისტრაციის, ფაკულტეტისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან.
2. შესაბამისი სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე კომისია ადგენს და აქვეყნებს განცხადებას სპეციალური სასწავლო სოციალური წესის განხორციელების შესახებ.
3. კომისიის მიერ განცხადებები განიხილება ინდივიდუალურად, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება რექტორს



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სოციალურად მოწყვლადი  
უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მხარდაჭერის  
მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა

**Mechanisms of support for socially vulnerable students of higher and vocational education programs  
and availability of tuition fees**

სწავლის საფასურის შეღავათების მინიჭების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად.

4. წესში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

- ა) განცხადება (დანართი 2);
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი;
- გ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ (ცნობა გაიცემა მხოლოდ სტუდენტის სტატუსში მყოფ პირებზე);
- დ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 –ზე);
- ე) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- ვ) საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ზ) მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);
- თ) მრავალშვილიანი (სამი ან მეტი შვილი) ოჯახის წევრი სტუდენტისა და მისი და – ძმების პირადობის მოწმობის ასლები;
- ი) ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**მუხლი 5. წესის დაფინანსება**

წესის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სასწავლებლის ბიუჯეტი.


**მუხლი 6. მონაწილე პირები**

წესის განხორციელებაში მონაწილეობენ სასწავლებლის უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის სტუდენტები. ამ წესში არ მონაწილეობს სტუდენტი, რომელიც იღებს ფინანსურ სარგებელს სასწავლებლიდან (სახელობითი/ფრიადოსნის სტიპენდიას) ან გააჩნია სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

**მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები**

1. წესის მიხედვით შეღავათები მიენიჭება:

- ა) სტუდენტს, რომელსაც სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვს შეფასება ძალიან კარგი (81 და მეტი ქულა);




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სოციალურად მოწყვლადი  
უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მხარდაჭერის  
მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა

**Mechanisms of support for socially vulnerable students of higher and vocational education programs  
and availability of tuition fees**

- ბ) სტუდენტს, რომელიც არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 –ზე);
- გ) სტუდენტს, რომელიც არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;
- დ) სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი;
- ე) სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით);
- ვ) სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი (სამი ან მეტი შვილი) ოჯახის წევრი;
- ზ) სტუდენტს, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე
2. ამ მუხლში აღნიშნულ საშეღავათო კრიტერიუმებიდან კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმისა და ასევე პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი რომელიმე სხვა კრიტერიუმის არსებობა.
3. ამ მუხლში გათვალისწინებულ კრიტერიუმებს ენიჭება შემდეგი ქულები:
- 3.1. პირველი კრიტერიუმი - არაუმეტეს 70 ქულა;
- ა) 70 ქულა ენიჭება (91 და მეტი შეფასებების მქონე სტუდენტებს);
- ბ) 50 ქულა ენიჭება (81-დან 90 ქულის ჩათვლით შეფასებების მქონე სტუდენტებს);
- 3.2. მეორე კრიტერიუმი – 15 ქულა;
- 3.3. მესამე კრიტერიუმი – 8 ქულა;
- 3.4. მეოთხე კრიტერიუმი – 8 ქულა;
- 3.5. მეხუთე კრიტერიუმი – 8 ქულა;
- 3.6. მეექვსე კრიტერიუმი – 8 ქულა;
- 3.7. მეშვიდე კრიტერიუმი – 8 ქულა;
- სულ მაქსიმალური - 125 ქულა;
- დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით დაგროვილი ქულათა ჯამის შესაბამისად სტუდენტს მიენიჭება შეღავათი შემდეგი ოდენობით:
- ა) 73 – დან 125 – მდე ქულა – 10 %;
- ბ) 66 – დან 73 – მდე ქულა – საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა საფასურის გარეშე;
- გ) 58 – დან 66 – მდე ქულა – წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრში სერთიფიცირების უფასოდ გავლა.

საზღვაო სასწავლებელი ამ წესით გათვალისწინებულ ყველა სტუდენტს სთავაზობს გადახდის მოქნილ გრაფიკს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სოციალურად მოწყვლადი  
უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მხარდაჭერის  
მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა

Mechanisms of support for socially vulnerable students of higher and vocational education programs  
and availability of tuition fees

დანართი 1

შპს ბუსსს ანრის რექტორს  
ბატონ რუსლან დიასამიძეს

(სახელი, გვარი)

(პირადი ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვსწავლობ შპს ბუსსს ანრის \_\_\_\_\_  
(ფაკულტეტი, სპეციალობა, კურსი)

მივეკუთვნები წესით გათვალისწინებულ შემდეგ

კატეგორიას \_\_\_\_\_

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა წესის დაფინანსების ფარგლებში.

დანართი: \_\_\_\_\_ ფურცელი.

**შენიშვნა:** განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება განცხადებაში მითითებული კატეგორიის/კატეგორიების მქონე პირს. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: \_\_\_\_\_

ტელეფონი: \_\_\_\_\_ მობილური \_\_\_\_\_

E-mail \_\_\_\_\_

გავეცანი „წესის განხორციელების წესს“, ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემ პასუხისმგებლობას.

(ხელმოწერა)

(თარიღი)



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

სოციალურად მოწყვლადი  
უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მხარდაჭერის  
მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა

Mechanisms of support for socially vulnerable students of higher and vocational education programs  
and availability of tuition fees

---

წესის შემუშავებელი:

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი

გ.ქათამაძე \_\_\_\_\_

პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი

თ.დევაძე \_\_\_\_\_

იურიდიული განყოფილების უფროსი

გ.დიასამიძე \_\_\_\_\_

მთავარი ბუღალტერი

ს.მამულაძე \_\_\_\_\_